



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა  
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ფარმაცია

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი

დასკვნის წარდგენის თარიღი

8.11.2024

თბილისი

## შინაარსი

|                                                                                             |    |
|---------------------------------------------------------------------------------------------|----|
| I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ .....                                       | 4  |
| II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა.....                                  | 5  |
| III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან.....                                 | 8  |
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა..... | 8  |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა .....    | 16 |
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა.....                                   | 21 |
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა .....                                                  | 24 |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები.....                                      | 31 |

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ<sup>1</sup>

|                                                                              |                                                                       |
|------------------------------------------------------------------------------|-----------------------------------------------------------------------|
| დაწესებულების სახელწოდება<br>ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის<br>მიითითებით | საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი<br>საჯარო სამართლის იურიდიული პირი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი                                           | 211349192                                                             |
| დაწესებულების სახე                                                           | უნივერსიტეტი                                                          |

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

|                                                          |                                                                       |
|----------------------------------------------------------|-----------------------------------------------------------------------|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი,<br>უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ფხაკაძე ირინე - აკაკი წერეთლის<br>სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია,<br>ქვეყანა)       | გოგნაძე თინათინ - ევროპის უნივერსიტეტი,<br>საქართველო                 |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია,<br>ქვეყანა)       |                                                                       |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია,<br>ქვეყანა)       |                                                                       |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია,<br>ქვეყანა)       |                                                                       |

<sup>1</sup> ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მიითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

## I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

|                                                                                                                                                                                                                                                                   |                                        |
|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|----------------------------------------|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)                                                                                                                                                                                                                  | ფარმაცია                               |
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)                                                                                                                                                                                                                | Pharmacy                               |
| უმაღლესი განათლების საფეხური                                                                                                                                                                                                                                      | მაგისტრატურა                           |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია <sup>2</sup>                                                                                                                                                                                                                            | ფარმაციის მაგისტრი                     |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი                                                                                                                                                                                                                                | 0916 ფარმაცია                          |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება <sup>3</sup>                                                                                                                                                  |                                        |
| სწავლების ენა                                                                                                                                                                                                                                                     | ქართული                                |
| ECTS კრედიტების რაოდენობა                                                                                                                                                                                                                                         | 120                                    |
| პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)                                                                                                       | აკრედიტირებული, № 686423<br>13.06.2023 |
| პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები) |                                        |

<sup>2</sup> უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

<sup>3</sup> მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

## II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

### ▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ<sup>4</sup>

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფარმაციის სამაგისტრო პროგრამა აკრედიტირებულია საგანმანათლებლო პროგრამების პროგრამული აკრედიტაციის საბჭოს № 686423, 13.06.2023 გადაწყვეტილების საფუძველზე 2027 წლის 31 დეკემბრამდე ვადით, აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრულ იქნა ვადა - 2024 წლის 30 მაისამდე.

### ▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 913024, 26.07.2024 ბრძანების საფუძველზე მიმდინარე წლის 2024 წლის 23 სექტემბერს განხორციელდა გეგმიური მონიტორინგის ვიზიტი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში „ფარმაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის - I სტანდარტთან, III სტანდარტის 3.2 კომპონენტთან და IV სტანდარტთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა შემადგენლობით: ირინე ფხაკაძე (თავმჯდომარე); თინათინ გოგნაძე (წევრი) ვიზიტი განხორციელა დაწესებულებასთან წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, მოისმინა დაწესებულების ხედვა აღნიშნული პროგრამის განხორციელებასთან და სამომავლო პერსპექტივებთან დაკავშირებით, შეხვდა და გაესაუბრა პროგრამის ხელმძღვანელს, განმახორციელებელ პერსონალს და სტუდენტებს. ჯგუფმა დაათვალიერა პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ვიზიტის ბოლოს დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნო ძირითადი მიგნებები.

### საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

- სტანდარტი 1 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტის კომპონენტი 3.2. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 4 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

### რეკომენდაციები

დაზუსტდეს სტუ-ს მაგისტრატურის დებულებაში არსებული შემდეგი ჩანაწერი: „სამაგისტრო ნაშრომი, მოცულობის შესაბამისად, შეიძლება შესრულდეს ერთი ან ორი სემესტრის განმავლობაში“ და მოვიდეს შესაბამისობაში ფარმაციის საგანმანათლებლო

<sup>4</sup> პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

სამაგისტრო პროგრამასთან, რომლის თანახმად, სამაგისტრო ნაშრომის მოცულობა უცვლელია, შეადგენს 30 კრედიტს და პროგრამის სტრუქტურის თანახმად ის სრულად ხორციელდება მე-4 სემესტრში. შესაბამისად, გაურკვეველია 30 კრედიტის მქონე კურსის სხვადასხვა სემესტრებში გაყოფისა დაგანხორციელების, ასევე შეფასების და კურსის შედეგის გაზომვის პირობები.

- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)<sup>5</sup>
- ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის (MES 7 24 0001413322, 4.11.2024) თანახმად

„ სტუ-ს მაგისტრატურის დებულებაში ხისტად არ არის განსაზღვრული სამაგისტრო ნაშრომის მოცულობა - 30 კრედიტი. რიგ სამაგისტრო პროგრამებში, სამაგისტრო ნაშრომის მოცულობა აღემატება 30 კრედიტს და შესაბამისად ერთ სემესტრში მისი შესრულება შეუძლებელია. „ფარმაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამაგისტრო ნაშრომი კი წარმოდგენილია 30 კრედიტით. ეს წარმოადგენს სტუ-ს მაგისტრატურის დებულების კერძო შემთხვევას და წინააღმდეგობაში არ მოდის სტუ-ს მაგისტრატურის დებულებასთან.“

*აღნიშნული ნათელს არ ფენს სამაგისტრო ნაშრომის შესრულების პირობებს არც იმ შემთხვევაში, როდესაც ნაშრომის მოცულობა აღემატება 30 კრედიტს და არც ფარმაციის პროგრამის შემთხვევაში, როდესაც 30 კრ. მოცულობის სამაგისტრო ნაშრომი განაწილებულია 2 სემესტრზე, ამდენად რეკომენდაცია უცვლელად დარჩა დასკვნის დოკუმენტში.*

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამული კარედიტაციის საბჭოს მიერ პროგრამისადმი გაცემული რეკომენდაციები შესრულებულია დაწესებულების მიერ. რაც შეეხება რჩევას, სამაგისტრო პროგრამაში

---

<sup>5</sup> პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

არადარგობრივი არჩევითი სასწავლო კურსების შეთავაზების შესახებ, ამ ეტაპზე გათვალისწინებული არ არის.

### III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

#### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

##### 1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

#### საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ფარმაციის სამაგისტრო პროგრამის მიზანია „ფარმაცევტული დისციპლინების სიღრმისეული შესწავლა; ფარმაციის პრაქტიკოსი და სამეცნიერო-კვლევითი უნარების მქონე კადრების მომზადება, რომლებიც მიიღებენ ღრმა და სისტემურ ცოდნას და შეძლებენ დამოუკიდებლად მუშაობას ფარმაცევტული ანალიზის, სამრეწველო ფარმაციის, ფარმაცევტული კოსმეტოლოგიისა და პარფიუმერიის მიმართულებით; სათანადო უნარების გამომუშავება და ფარმაციის სფეროში მუშაობისათვის მომზადება, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით“.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მისიაა „მოქალაქეობრივი ცნობიერების, ეროვნული და საკაცობრიო ღირებულებების მატარებელი კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, კვლევების, განათლების და ტექნოლოგიების ახალი შესაძლებლობების შეთავაზება, ქვეყანაში ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის მშენებლობის ხელშეწყობა და საერთაშორისო ეკოსისტემაში ინტეგრირებისათვის ინოვაციური საქმიანობის წარმართვა“.

ექსპერტთა შეფასება ადასტურებს, პროგრამის მიზანი იზიარებს უნივერსიტეტის მისიის პათოსს და ემსახურება გაცხადებული იდეის განხორციელებას.

წარმოდგენილი პროგრამა აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინების მიზნით განხორციელებული ცვლილებების შედეგია.

პროგრამის განმახორციელებელი ჯგუფის წევრთა აზრით, პროგრამა აქცენტირებულია უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმისა და შრომის ბაზრის მოთხოვნებზე.

#### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამა
- აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში
- სტუ-ის მისია, ხედვა, ღირებულებები

- ინტერვიუს შედეგები

#### რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

#### რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

#### შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი            | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან        | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|-----------------------|-------------------------------------|---------------------------------------|-----------------------------------------|-------------------------------------|
| 1.1 პროგრამის მიზნები | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/>              | <input type="checkbox"/>                | <input type="checkbox"/>            |

#### 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფარმაციის სამაგისტრო პროგრამა მოიცავს 3 არჩევით კონცენტრაციას და სწავლის ზოგადი შედეგები წარმოდგენილია 8 ძირითადი პუნქტის სახით:

1. არჩეული კონცენტრაციის შესაბამისად აქვს ღრმა და სისტემური ცოდნა ფარმაციაში სამკურნალო პრეპარატების, პარფიუმერული და კოსმეტიკური საშუალებების თვისებითი და რაოდენობითი ანალიზის, წამლის ხარისხის კონტროლისა და ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ანალიზის ზოგიერთ უახლესი მეთოდის; GMP-ს და ISO-ს მოთხოვნების და სტანდარტების დანიშნულებისამებრ გამოყენების მიმართულებით;

2. პროგრამის კონცენტრაციების თავსებადობით ფარმაცევტული ბიზნესის ადმინისტრირების, ფარმაცევტული ტექნოლოგიის, ბიოეთიკის, ფარმაკოლოგიის, სამკურნალო, სამკურნალო - პროფილაქტიკურ კოსმეტიკურ საშუალებებში გამოყენებული ბუნებრივი ნედლეულის, ტოქსიკოლოგიური და ფარმაკოლოგიური ანალიზის,

ფიტონედლეულის ღრმა სისტემური ცოდნით დამოუკიდებლად ახორციელებს კომპლექსურ ფარმაცევტულ საქმიანობას უცნობ ან მულტიდისციპლინურ გარემოში;

3. რთული ან არასრული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზით დამოუკიდებლად აკავშირებს პრეპარატების დანიშნულებას ფარმაცოლოგიური ჯგუფების მიხედვით მედიკამენტების ჩვენებების, უკუჩვენებების, გვერდითი ეფექტების და დოზირების სქემებთან;

4. ახდენს კვლევის დამოუკიდებლად განხორციელებას - ფარმაცევტული საქმიანობის სახელმწიფო პოლიტიკის და სამართლებრივი საფუძვლების, ფარმაცევტული სამსახურის ორგანიზაციის, სამკურნალო მცენარეული, ცხოველური და მინერალური ნედლეულის კვლევის, დაგეგმვის, ანალიზის მეთოდების შერჩევის და სამეცნიერო ცოდნის გამოყენების, ფარმაცევტული წარმოების ინოვაციური განვითარების კუთხით;

5. აკეთებს ადეკვატურ დასკვნას ტოქსიკო-ქიმიური ფარმაცოლოგიური და ფარმაცოგნოსტული ანალიზის შედეგების სრულ მონაცემებზე დაყრდნობით და საჭიროებისას იღებს პასუხისმგებლობას გუნდის წევრების საქმიანობასა და პროფესიულ განვითარებაზე;

6. ადგენს წამლების ბიოშელწევადობის ძირითად მაჩვენებლებს და ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენენ წამლების ბიოშელწევადობაზე; სამკურნალოწამლო დანიშნულების ნედლეულის გარშემო არსებული ინფორმაციის მართებულობას, დასახული ლაბორატორიულ-ექსპერიმენტული კვლევის მიმართულებას;

7. იყენებს: ფარმაცოპეულ მეთოდებს კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების პროცესში, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით;

8. დამოუკიდებლად გეგმავს საკუთარი სწავლის გაგრძელების შემდგომ მიმართულებებს და წარმართავს მათ. პროგრამის სწავლის შედეგებთან მიმართებაში თითოეული კონცენტრაციის სწავლის შედეგები კონცენტრირდება შესაბამისი ვიწრო მიმართულებით.

პროგრამით მისაღწევი შედეგების სრულად უზრუნველყოფის მიზნით დაწესებულების მიერ გათვალისწინებულ იქნა აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაცია და დამატებულ იქნა სასწავლო კურსი „კვლევის თანამედროვე მეთოდები“, რაც სწავლის შედეგების მიღწევას ხდის რეალისტურს. გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული სასწავლო კურსი პროგრამაში დაემატა ბოლო ერთი წელია, სწავლის შედეგების სრულად მიღწევის მიზნით დაწესებულება უზრუნველყოფს 2023 წლამდე ჩარიცხული ყველა სტუდენტის მიერ პროგრამის ფარგლებში აღნიშნული სასწავლო კურსის ათვისებას.

#### **მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სამაგისტრო პროგრამა
- ინტერვიუს შედეგები
- სწავლის შედეგების რუქა
- აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში

### რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

### რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

### შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი                     | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან        | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|--------------------------------|-------------------------------------|---------------------------------------|-----------------------------------------|-------------------------------------|
| 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/>              | <input type="checkbox"/>                | <input type="checkbox"/>            |

### 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

სამაგისტრო პროგრამის შედეგების შეფასების მიზნით გამოიყენება როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი შეფასების მექანიზმები. პროგრამის უწყვეტი გაუმჯობესების მიზნით შემუშავებულია „სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის“ დოკუმენტი და „სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია“ სამოქმედო გეგმა.

გაწერილია შეფასების 3 წლიანი ციკლი, რომელიც მოიცავს 10 ეტაპს:

1. პროგრამის მისიის განსაზღვრა / გადახედვა;
2. პროგრამის სასწავლო მიზნების განსაზღვრა / გადახედვა;
3. პროგრამის სასწავლის შედეგების განსაზღვრა / გადახედვა;
4. თითოეული სწავლის შედეგისთვის შეფასების მეთოდის განსაზღვრა;
5. მონაცემების შეგროვება
6. მონაცემების გაანალიზება;
7. უკუკავშირი დაინტერესებულ მხარეებთან;
8. ცვლილებების განხორციელება (assessment output) / სადაც საჭიროა;
9. ცვლილებების მონიტორინგი და შედეგების შედარება;
10. ინფორმაციის გამოყენება შემდეგი დაგეგმვის ციკლისთვის. სასწავლო კურსების, სასწავლო

პროგრამის განვითარების გეგმა ითვალისწინებს პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების გადახედვას (ძირითად მონიტორინგს).

პროგრამას ახლავს მიზნებისა და სწავლის შედეგების რუქა, რომელიც ხელს უწყობს პროგრამის სწავლის შედეგებისა და პროგრამის შინაარსის ურთიერთშესაბამისობის დადგენას, მასში პროგრამის თითოეული კომპონენტის როლი განსაზღვრულია პროგრამის შედეგების ფორმირებაში საფუძვლების შექმნის, გაღრმავების და განმტკიცების სახით (1,2,3).

#### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია“ სამოქმედო გეგმა
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუქა
- ინტერვიუს შედეგები

#### რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

#### რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

#### შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი                                          | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან        | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|-----------------------------------------------------|-------------------------------------|---------------------------------------|-----------------------------------------|-------------------------------------|
| 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/>              | <input type="checkbox"/>                | <input type="checkbox"/>            |

#### 1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამა აგებულია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად - ECTS, (1 კრედიტი შეესაბამება 25 საათს), პროგრამა პასუხობს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმებს. სასწავლო კომპონენტები ლოგიკურად არის დაგეგმილი და ვითარდება თანამიმდევრულად გათვალისწინებულია კომპონენტზე დაშვების წინაპირობები. პროგრამის 120 კრედიტი მოიცავს: სასწავლო კომპონენტს - 90 კრედიტი, კვლევით კომპონენტს - 30 კრედიტი. ძირითადი სასწავლო სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსების მოცულობა შეადგენს 50 (ECTS) კრედიტს. პროგრამა მოიცავს 3 არჩევით კონცენტრაციას, რომელთაგან თითოეული წარმოადგენს ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსების დაჯგუფებას. სტუდენტს აქვს შესაძლებლობა აირჩიოს ერთ-ერთი არსებული კონცენტრაციებიდან:

კონცენტრაცია 1- „ფარმაცევტული ანალიზი“,

კონცენტრაცია 2 - „სამრეწველო ფარმაცია“,

კონცენტრაცია 3 - „ფარმაცევტული კოსმეტოლოგია და პარფიუმერია“.

პროგრამაში თითოეული კონცენტრაციის მოცულობა შეადგენს ჯამში 70 კრედიტს, მათგან 10 კრედიტი ისწავლება პროგრამის მეორე სემესტრში, 30 კრედიტი -პროგრამის მე-3 სემესტრში, ხოლო პროგრამის მე-4 სემესტრის 30 კრედიტი სრულად ეთმობა სამაგისტრო ნაშრომის შესრულებას და დაცვას.

ზემოთაღნიშნულთან დაკავშირებით აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული იქნა რეკომენდაცია, საანგარიშო პერიოდში დაზუსტებულ იქნა საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია“ სტრუქტურა და რიგი მახასითებლები, წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, პროგრამის სასწავლო კომპონენტი მოიცავს 3 კონცენტრაციას, თითოეული კონცენტრაციის მოცულობა განსაზღვრულია 70 კრედიტის ფარგლებში.

პროგრამიის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს სტუდენტის ცოდნისა და უნარების განვითარებას.

პროგრამით მისაღწევი ცოდნისა და უნარების სრულად უზრუნველყოფის მიზნით გაცემული რეკომენდაციის თანახმად პროგრამაში გასათვალისწინებელი იყო სასწავლო კურსის „კვლევის თანამედროვე მეთოდები“ სწავლება, რეკომენდაცია შესრულებულია, საგანმანათლებლო პროგრამის მეორე სემესტრში დამატებულია სასწავლო კურსი: „კვლევის თანამედროვე მეთოდები“, მოცულობა 3 კრედიტის ფარგლებში. წარმოდგენილია აღნიშნული კომპონენტის შემუშავებული სილაბუსი.

პროგრამული კარედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რჩევა სამაგისტრო პროგრამაში არადადგომრივი არჩევითი სასწავლო კურსების შეთავაზების შესახებ ამ ეტაპზე გათვალისწინებული არ არის.

დაწესებულება უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას. დაწესებულების ვებ-გვერდზე განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამა.

#### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ფარმაციის სამაგისტრო პროგრამა; სილაბუსები;
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა

- სტუ-ის ვებგვერდი:
- ინტერვიუს შედეგები

#### რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

#### რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

#### შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი                                          | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან        | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|-----------------------------------------------------|-------------------------------------|---------------------------------------|-----------------------------------------|-------------------------------------|
| 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/>              | <input type="checkbox"/>                | <input type="checkbox"/>            |

#### 1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

#### საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

„ფარმაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული კომპონენტის, მათ შორის სამივე კონცენტრაციებში შემავალი კურსების შინაარსი და შედეგები უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნისა და უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მეორე საფეხურით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას.

თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა) შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს.

სწავლა-სწავლების მეთოდებისა და შეფასების მეთოდების შერჩევისას გათვალისწინებულია კურსის სპეციფიკა. საკონტაქტო საათების რაოდენობა ლოგიკურადაა განაწილებული კურსების შინაარსის მიხედვით და ითვალისწინებს მისაღწევ სწავლის შედეგებს.

პროგრამაში გათვალისწინებულია სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე სილაბუსებში დეტალურად არის აღწერილი კურსის

შინაარსი, სწავლის შედეგები და შეფასების შესაბამისი კრიტერიუმები. სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა განახლებულია, დაწესებულებამ იზრუნა პროგრამის ახალი სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფაზე, წარმოდგენილია მითითებული სასწავლო კურსების სილაბუსები, განახლებული ლიტერატურით: პარფიუმერული და კოსმეტიკური საშუალებების ხარისხის კონტროლი; ფარმაცევტული ტექნოლოგია; ფარმაცოლოგია; ფარმაცოგნოსტური ანალიზი; მცენარეთა ანალიზის ფიზიოლოგიური და ბიოქიმიური მეთოდები; ტოქსიკოლოგიური ანალიზი; ფარმაცევტული ბიზნესის ადმინისტრირება;

წარმოდგენილია აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციის შესრულების მიზნით დაწესებულების მიერ სახელმძღვანელოების შეძენის დამადასტურებელი მიღება ჩაბარების აქტები (2111ლარი). სტუ ბიბლიოთეკა ჩართულია საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამასთან აფილირებული დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად ირკვევა შემდეგი:

სტუ მაგისტრატურის დებულების თანახმად

2.2. სამაგისტრო ნაშრომი, მოცულობის შესაბამისად, შეიძლება შესრულდეს ერთი ან ორი სემესტრის განმავლობაში.

საგანმანათლებლო პროგრამის თანახმად, სამაგისტრო ნაშრომის მოცულობა უცვლელია და შეადგენს 30კრედიტს და პროგრამის სტრუქტურის თანახმად ის სრულად ხორციელდება მე-4 სემესტრში.

პროგრამის ხელმძღვანელმა ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ კონცენტრაციების შერჩევასთან ერთად შესაძლებელია მაგისტრანტის მიერ სამაგისტრო თემის შერჩევა მოხდეს პირველი კურსის მე-2 სემესტრში, მაგისტრებთან ინტერვიურებამაც დაადასტურა, რომ სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობას იწყებენ უმეტესად პროგრამის მეორე სემესტრიდან, აგროვებენ მასალას, ამუშავებენ ლიტერატურას და ახორციელებენ ამ მიმართულებით სხვადასხვა აქტივობებს.

თუმცა, როგორ ხდება მსგავს შემთხვევებში სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაოს და მიღწეული შედეგების გაზომვა/შეფასება აღნიშნული პროგრამითა და დებულებით არ რეგულირდება, პასუხი ვერც ინტერვიურების დროს იქნა მიღებული.

#### **მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ფარმაციის სამაგისტრო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ბიბლიოთეკის კატალოგი <http://gtu.ge/Library/>
- ინტერვიუს შედეგები
- მიღება ჩაბარების აქტები

## რეკომენდაციები:

- დაზუსტდეს სტუ-ს მაგისტრატურის დებულებაში არსებული შემდეგი ჩანაწერი: „სამაგისტრო ნაშრომი, მოცულობის შესაბამისად, შეიძლება შესრულდეს ერთი ან ორი სემესტრის განმავლობაში“ და მოვიდეს შესაბამისობაში ფარმაციის საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამასთან, რომლის თანახმად, სამაგისტრო ნაშრომის მოცულობა უცვლელია, შეადგენს 30 კრედიტს და პროგრამის სტრუქტურის თანახმად ის სრულად ხორციელდება მე-4 სემესტრში. შესაბამისად, გაურკვეველია 30 კრედიტის მქონე კურსის სხვადასხვა სემესტრებში გაყოფისა და განხორციელების, ასევე შეფასების და კურსის შედეგის გაზომვის პირობები.

### რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

## შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი                | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---------------------------|------------------------------|---------------------------------------|-----------------------------------------|-------------------------------------|
| 1.5 სასწავლო კურსი/საგანი | <input type="checkbox"/>     | <input checked="" type="checkbox"/>   | <input type="checkbox"/>                | <input type="checkbox"/>            |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

|                                                                                        |                                         |                                     |
|----------------------------------------------------------------------------------------|-----------------------------------------|-------------------------------------|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან            | <input checked="" type="checkbox"/> |
|                                                                                        | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან   | <input type="checkbox"/>            |
|                                                                                        | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | <input type="checkbox"/>            |
|                                                                                        | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან     | <input type="checkbox"/>            |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

### 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

---

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული იქნა რეკომენდაცია:

რეკომენდებულია დაშვების წინაპირობად განისაზღვროს მინიმუმ მომიჯნავე სფეროების ბაკალავრიატის მისანიჭებელი კვალიფიკაციები ან დეტალურად გაიწეროს და დაკონკრეტდეს არამომიჯნავე სფეროს წარმომადგენლის მიღების შემთხვევაში მისაღებ გამოცდებზე საგნების მიხედვით აპლიკანტთა შესაბამისი კომპეტენციები.

**რეკომენდაცია შესრულებულია.** პროგრამაზე დაშვების წინაპირობა დაკორექტირდა შემდეგნაირად: მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს (სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შემდეგი ფართო სფეროებიდან:

09 ჯანდაცვა, სოციალური კეთილდღეობა;

06 ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები;

05 საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, მათემატიკა და სტატისტიკა;

07 ინჟინერია, წარმოება და მშენებლობა;

08 სოფლის მეურნეობა, მეტყვეობა, მეთევზეობა, ვეტერინარია),

სტუდენტი, რომელიც ჩაირიცხება სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით (საერთო სამაგისტრო გამოცდა და სტუ-ს მიერ განსაზღვრული სპეციალობის გამოცდა/გამოცდები - (კომპლექსური გამოცდა, რომელიც მოიცავს ფუნდამენტური ფარმაცევტული დისციპლინების საკვანძო საკითხებს). გამოცდების საკითხები/ტესტები განთავსდება სტუ-ს სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტი <https://gtu.ge/Study-Dep/> გამოცდების დაწყებამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე. პრეტენდენტს უნდა ჰქონდეს ერთ-ერთი უცხოური ენის (ინგლისური ენა, გერმანული ენა, ფრანგული ენა, რუსული ენა) ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი არანაკლებ B2 დონისა, ან უნდა ჰქონდეს B2 დონის შესაბამისი სასწავლო კურსის გავლის დოკუმენტი. მსგავსი სერტიფიკატის ან სხვა ანალოგიური დოკუმენტის არარსებობის შემთხვევაში პრეტენდენტი ვალდებულია ტესტირება გაიაროს სტუ-ს კომპიუტერულ ცენტრში ერთ-ერთ უცხოურ ენაში. პროგრამაზე ჩაირიცხვა სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე, შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩაირიცხვა, ასევე, შესაძლებელია, მობილობის წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 2 თებერვლის ბრძანება №10/ნ-ით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის“ შესაბამისად.

საგანმანათლებლო პროგრამაზე ასევე დაიშვებიან მსურველები შიდა მობილობის წესით.

## მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამა „ფარმაცია“

### რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

### რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

### შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი                           | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან        | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|--------------------------------------|-------------------------------------|---------------------------------------|-----------------------------------------|-------------------------------------|
| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/>              | <input type="checkbox"/>                | <input type="checkbox"/>            |

### 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

### საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

## მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

### რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

### რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

## შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი                                                                                            | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|-------------------------------------------------------------------------------------------------------|------------------------------|---------------------------------------|-----------------------------------------|-------------------------------------|
| 2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი /შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება | <input type="checkbox"/>     | <input type="checkbox"/>              | <input type="checkbox"/>                | <input type="checkbox"/>            |

## 2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

## მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

## რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

## რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

## შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი                    | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|-------------------------------|------------------------------|---------------------------------------|-----------------------------------------|-------------------------------------|
| 2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები | <input type="checkbox"/>     | <input type="checkbox"/>              | <input type="checkbox"/>                | <input type="checkbox"/>            |

#### 2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

#### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

#### რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

#### რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

#### შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი               | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|--------------------------|------------------------------|---------------------------------------|-----------------------------------------|-------------------------------------|
| 2.4 სტუდენტების შეფასება | <input type="checkbox"/>     | <input type="checkbox"/>              | <input type="checkbox"/>                | <input type="checkbox"/>            |

#### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

